


კინგის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-8 კლასი

- ცნობილია, რომ $2x + 3y = 6$. იპოვეთ $6x + 9y$
A. 12 B. 15 C. 18
- გვაქვს ორი სიმრავლე: $M = \{4; 24; 52; 13; 14; 67; 17\}$ და $N = \{7; 17; 25; 13; 29; 34; 76; 73\}$. ამ ორი სიმრავლის თანაკვეთა $M \cap N$ არის:
A. $\{13; 17\}$
B. $\{4; 7; 24; 52; 25; 29; 34; 13; 76; 14; 73; 67; 17\}$
C. $\{13; 17; 14; 7\}$
- მოცემულია რიცხვები 4,5,8,9. რამდენი განსხვავებული სამკუთხედი არსებობს, რომლის გვერდები ამ რიცხვების ტოლია? (მაგალითად სამკუთხედი გვერდებით 4, 5 და 8)
A. 2 B. 4 C. 3
- რამდენი პროცენტია $\frac{1}{8}$?
A. 125% B. 8% C. 12.5%
- რამდენი გამყოფი აქვს მარტივი რიცხვის კუბს?
A. 3 B. 4 C. 5
- თუ სამკუთხედის გვერდებს გავზრდით ორჯერ, მაშინ პერიმეტრი გაიზრდება?
A. 2-ჯერ B. 5-ჯერ C. 7-ჯერ
- ჭადრაკის ტურნირში ყველამ ყველასთან ზუსტად ერთი პარტია ითამაშა. სულ რამდენი პარტია გათამაშდა, თუ ტურნირში 4 მოჭადრაკე მონაწილეობდა?
A. 12 B. 6 C. 16
- სამკუთხედის ორი გარე კუთხე 115° -ის და 120° -ის ტოლია. იპოვეთ კუთხე A.



A. 60° B. 55° C. 45°

- დაასრულეთ წინადადება ისე, რომ ის აუცილებლად ჭეშმარიტი იყოს: „სამი მომდევნო რიცხვის ჯამის გასამკვეცებელი რიცხვი ნამდვილად გაიყოფა ...“
A. 3-ზე B. 4-ზე C. 2-ზე

10. კვადრატის პერიმეტრი 32მ-ის ტოლია. თითოეული გვერდი გაზარდეს 25%-ით. რამდენი მ2 - ით მეტია მიღებული კვადრატის ფართობი ძველი კვადრატის ფართობზე?
A. 100 B. 64 C. 36

ბონუს დავალებები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. მაგთის ბონუს შეკითხვა

თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?

A. 6

B. 3

C. 9

2. ნინო და ელენე დიდი ავტობუსის ერთ რიგში სხედან. ნინოს უკან 9 სკამია და ერთ-ერთ სკამზე ელენე ზის. ელენეს წინ კი 20 სკამია და ერთ-ერთზე ნინო ზის. ელენესა და ნინოს შორის 8 სკამია. სულ რამდენი სკამია იმ რიგში, რომელშიც ელენე და ნინო სხედან?

A.21

B.31

C.29

3. მეგობრებს - ნიკას, ზურას და სანდროს ჰყავთ სამი ცხოველი: თევზი, კატა და ძაღლი. ნიკას ძალიან მოსწონს მეგობრის ძაღლი. ზურას კატა არ ჰყავს, ხოლო სანდრო ერთადერთია მეგობრებიდან, ვისაც სახლში აკვარიუმი აქვს. ვის რომელი ცხოველი ჰყავს?

A.ნიკა - ძაღლი, ზურა - თევზი, სანდრო - კატა

B.ნიკა - თევზი, ზურა - ძაღლი, სანდრო - კატა

C.ნიკა - კატა, ზურა - ძაღლი, სანდრო - თევზი